„რუხი ზონები“, როგორც თანამედროვე მსოფლიო წესრიგის დესტაბილიზაციის ფაქტორი და გამოწვევა XXI საუკუნეში

ქეთევან მესხიძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების
მიმართულების ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ბოლო პერიოდის განმავლობაში მსოფლიო პოლიტიკური პროცესების განვითარებისა და ცვლილებების გლობალური ტენდენციები, რასაც ადგილი ჰქონდა თითქმის ყველა გეოპოლიტიკური პარამეტრის თვალსაზრისით. მსოფლიო ცივილიზაცია განვითარების ახალ ფაზაში შევიდა ახალ პირობებთან ადაპტაციის გარდაუვალ გლობალურ კრიზისთან ერთად, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს სიღრმე, ყოვლისმომცველი მასშტაბები და უპრეცედენტო ტრანსფორმაციული ცვლილებები მსოფლიო პოლიტიკაში.

მსოფლიო პოლიტიკური პროცესი განიხილება, როგორც მოქნილი მობილობის, ცვალებადობის, მრავალი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორის დინამიური ურთიერთქმედება, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიო საზოგადოების განვითარების არსს, ხასიათსა და ვექტორებს.

რადიკალურად იცვლება თავად მსოფლიო პოლიტიკური კონტურებიც. ბოლო პერიოდში სახეზეა მსოფლიო პოლიტიკაში ძალისმიერი ხაზების აშკარა გადატვირთვით გამოწვეული არასტაბილურობისა და არეულობის ზრდა, რაც უფრო მეტად ართულებს და არაპროგნოზირებადს ხდის მათი ურთიერთგავლენისა და პროცესების სამომავლო განვითარების სცენარებს.

სტატიაში ძირითადი აქცენტები გაკეთებულია თანამედროვე მსოფლიო წესრიგში მიმდინარე ცვლილებსა და იმ ფაქტორებზე, რომელიც მსოფლიო წესრიგის დესტაბილიზაციის კატალიზატორად გვევლინებიან. კერძოდ, ე.წ. „რუხ ზონებსა“ და იქ არსებულ პროცესებზე. არავისთვის საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, რომ თანამედროვე ეტაპზე კარდინალურად შეიცვალა საფრთხეების ხასიათი გლობალური, რეგიონალური და ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით. არცთუისე დიდი ხნის წინ, „ცივი ომის“ დროს, მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა პროგნოზირებადი სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტები, დაპირისპირება და ორი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის გამალებული შეიარაღება. თუმცა, ბოლო 20 წლის განმავლობაში, გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოს მოუხდა ტრანსნაციონალური საფრთხეების თვისობრივად ახალ ფენომენთან შეჯახება, რომელიც გამოირჩევა არაპროგნოზირებადობით და საფრთხეს უქმნის აბსოლუტურად ყველა სახელმწიფოსა და მათ მოქალაქეებს (United Nations Office on Drugs and Crime 2009). ტრანსნაციონალურ საფრთხეებად შესაძლოა ჩაითვალოს საერთაშორისო ტერორიზმი, ნარკოტიკების წარმოება და ვაჭრობა, იარაღით უკანონო ვაჭრობა, მეკობრეობა. ასეა თუ ისე, ალტერნატიული გზების ძიება ტრანსნაციონალური საფრთხეების მოსაგვარებლად კვლავაც დღის წესრიგშია (Schmid 1996). ამასთან, ტრანსნაციონალურ საფრთხეებზე საუბრისას არ უნდა დაგვავიწყდეს მათი მთავარი წყარო ან მათი მაღალი კონცენტრაციის ადგილები, რომლებიც „რუხ ზონებად“ იწოდებიან და წარმოადგენენ ფართო არეალს ტერორისტული ორგანიზაციების, ნარკოკარტელების, მეკობრეებისა თუ სხვათა მოქმედებებისთვის, რაც საფრთხეს უქმნის თანამედროვე მსოფლიოს და წარმოადგენს ერთ-ერთ გამოწვევას XXI საუკუნეში.

საკვანძო სიტყვები:
„რუხი ზონები“, მსოფლიო წესრიგი, ტრანსნაციონალური საფრთხეები, ნარკოკარტელები, მეკობრეები, ტერორისტული ორგანიზაციები.

„GRAY ZONES“ AS A FACTOR OF DESTABILIZATION THE MODERN WORLD ORDER AND CHALLENGING OF XXI CENTURY

KETEVAN MESKHIDZE
ASSOCIATE PROFESSOR,
MASTER'S DEGREE PROGRAM IN
THE FIELD OF SECURITY STUDIES
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ABSTRACT

The article provides the study of the latest development of the world political processes and the shift of global trend which were observed in almost every aspect of geopolitics. With the new phase of development, the world civilization, while adjusting to the new environment is experiencing the inevitable crisis largely characterized by depth, broad scale and unprecedented transformational changes in the world politics.

The world political process is viewed as a dynamic interaction of flexible mobility, variability, multiple objective and subjective factors that define the essence, character and vectors of world community development.

The world's political contours themselves are changing radically. Recently, there has been an increase in instability and unrest caused by the apparent overload of forceful actions in world politics, making the scenarios of their interaction and future development processes more complicated and unpredictable.

The article underlines the ongoing changes in the new "world order" as well as factors fueling the destabilization of the "world order, specifically so-called "gray zones" and processes within.

There is no secret that at this stage the nature of threats has changed dramatically in terms of global, regional, and national security. A short time ago, during the "cold war," the major threat was predictable conflicts and tension between the states, and the arms raise of two military-political blocs. However, in the last 20 years, in the context of globalization, the world faced the new phenomenon of transnational threats marked by unpredictability and putting in danger every country with no exception along with their citizens.

KEYWORDS:
"gray zones", world order, transnational threats, drug cartels, pirates, terrorist organizations.

საერთაშორისო ასპარეზზე არსებული გლობალური ცვლილებები კონცენტრირებული ფორმით ასახავს ყველაზე რთული გეოპოლიტიკური პროცესების დინამიკას, ძველსა და ახალს შორის ურთიერთობის დიალექტიკას მსოფლიო პოლიტიკაში. არსებულმა საერთაშორისო ინსტიტუტებმა აჩვენა თავისი შეზღუდული შესაძლებლობები გლობალური პრობლემების გადაჭრის, მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ტერორისტულ ორგანიზაციებთან ეფექტურ ბრძოლასთან და ა.შ. დაკავშირებით. საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში შეინიშნება არაერთგვაროვანი ტენდენციები. მიუხედავად იმისა, რომ ჭარბობს სხვადასხვა მოთამაშეთა შორის თანამშრომლობითი ურთიერთობები, ამავდროულად, დღის წესრიგში რჩება დაპირისპირება მთელ რიგ წამყვან სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ცდილობენ საკუთარი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესების დაცვას მსოფლიო ასპარეზზე. შესაძლოა კონკურენციის გაძლიერება ძლიერ მოთამაშეებს შორის, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში გავლენის სფეროების გადანაწილებისთვის, სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე რესურსებზე, საქონელსა და კაპიტალზე კონტროლის განსახორციელებლად. თანამედროვე მსოფლიო წესრიგის დიაგნოსტირებისა და მისი განვითარების ტენდენციების პროგნოზირება იწვევს მწვავე დისკუსიას სამეცნიერო საზოგადოებაში, რაც უფრო მეტად განაპირობებს მისი შესწავლის აქტუალურობას XXI საუკუნეში. ავტორთა უმრავლესობა, შეგნებულად არიდებს თავს ამჟამად არსებული მსოფლიო წესრიგის ერთმნიშვნელოვან იდენტიფიკაციას და მას „პოსტ-ბიპოლარულს უწოდებს“.

ზოგადად, მსოფლიო წესრიგი პოლიცენტრული სტრუქტურის მატარებელია. მასში მიმდინარე თანამედროვე ცვლილებები ხორციელდება ყველაზე ძლიერ მოთამაშეთა შორის ძალთა ბალანსში, ხასიათსა და გავლენის სფეროების გადანაწილებაში. ყველზე მძლავრი ცენტრები, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიო პოლიტიკური პროცესების განვითარებას, შესაძლოა კვალიფიცირებულ იქნას როგორც მსოფლიოს გეოპოლიტიკური პოლუსები. თანამედროვე გეოპოლიტიკური პოლუსი სინამდვილეში წარმოადგენს ნეოიმპერიასა და ამყარებს არაფორმალურ კონტროლს სხვა მოთამაშეებზე.

ერთპოლარული, ბიპოლარული და მრავალპოლარული მოდელები ადეკვატურად ვეღარ ასახავს თანამედროვე გეოპოლიტიკური წესრიგის „ჰიბრიდულ“ ხასიათს მსოფლიოში. არსებული მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგის შესაბამისად, შეერთებული შტატები რჩება ყველაზე ძლიერ პოლუსად. დასავლეთი, როგორც არაფორმალური მაკროიმპერია, აერთიანებს შეერთებული შტატებს (პოლუსს), რამდენიმე სახელმწიფო-ცენტრს და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებს. თანამედროვე დასავლეთის მთავარ პრობლემას უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენს.

ყველაზე ამბიციური არადასავლური ცენტრები, განსაკუთრებით ჩინეთი და რუსეთი, ცდილობენ საკუთარი როლის გაზრდასა და გავლენის სფეროების გაფართოვებას მსოფლიოში და რეალურად მსოფლიო წესრიგის გეოპოლიტიკურ პოლუსად გადაქცევას.

იგულისხმევა, რომ მსოფლიოში შესაძლოა ჩამოყალიბდეს ოლიგოპოლარული ნეოიმპერიული წესრიგი. უსაფრთხო და სტაბილური სამყაროს უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, „უსისტემო“ ტრანსნაციონალურ მოთამაშეთა ტერორისტულ ქმედებებთან საბრძოლველად, საჭიროა კონსტრუქციული ურთიერთქმედება აშშ (და დასავლეთი მთლიანად), ჩინეთს, რუსეთს, ინდოეთს, რეგიონალურ ცენტრებსა და სხვა მოთამაშეთა შორის.

ბოლო პერიოდის განმავლობაში საერთაშორისო დონეზე საფრთხეების ცვალებადობამ გამოიწვია ე.წ. „რუხი ზონების“ ჩამოყალიბება.

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები, რომელიც წარმოიქმნება „რუხ ზონებში“ და ადგილი აქვს ტრადიციულ ომსა და მშვიდობას შორის, წარმოადგენს გამოწვევას XXI საუკუნის მსოფლიოსა და თანამედროვე საგარეო პოლიტიკისთვის, საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, რომ თანამედროვე ეტაპზე კარდინალურად შეიცვალა საფრთხეების ხასიათი გლობალური, რეგიონალური და ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით. არცთუისე დიდი ხნის წინ, „ცივი ომის“ დროს, მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა პროგნოზირებადი სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტები, დაპირისპირება და ორი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის გამალებული შეიარაღება. თუმცა, ბოლო 20 წლის განმავლობაში, გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოს მოუხდა ტრანსნაციონალური საფრთხეების თვისობრივად ახალ ფენომენთან შეჯახება, რომელიც გამოირჩევა არაპროგნოზირებადობით და საფრთხეს უქმნის აბსოლუტურად ყველა სახელმწიფოსა და მათ მოქალაქეებს (United Nations Office on Drugs and Crime 2009). ტრანსნაციონალურ საფრთხეებად შესაძლოა ჩაითვალოს საერთაშორისო ტერორიზმი, ნარკოტიკების წარმოება და ვაჭრობა, იარაღით უკანონო ვაჭრობა, მეკობრეობა. ასეა თუ ისე, ალტერნატიული გზების ძიება ტრანსნაციონალური საფრთხეების მოსაგვარებლად კვლავაც დღის წესრიგშია

(Schmid 1996). ამასთან, ტრანსნაციონალურ საფრთხეებზე საუბრისას არ უნდა დაგვავიწყდეს მათი მთავარი წყარო ან მათი მაღალი კონცენტრაციის ადგილები, რომლებიც „რუხ ზონებად“ იწოდებიან.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით აღნიშნული ცნების განსაზღვრება არ არსებობს, „რუხი ზონები“ გაგებულ უნდა იქნას, როგორც ცალკეულ სახელმწიფოთა ან რეგიონთა ტერიტორიები, რომლებშიც არ ვრცელდება საერთაშორისო სამართლისა და ეროვნული საკანონმდებლო ნორმები, რომელთა ტერიტორიაზეც არ არსებობს ფაქტიური პოლიტიკური ხელისუფლება და სრულფასოვანი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები (Report to DHS S&T Office of University Programs and DoD Strategic Multilayer Assessment Branch 2016).

თავის მხრივ, ასეთი ტერიტორიები ხშირად სამოქალაქო ომშია ჩართული ან წარმოადგენს სეპარატისტული წარმონაქმნის, ექსტრემისტული რეჟიმების, საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციის ბაზებისა და საწვრთნელი ბანაკების განთავსების ობიექტს, ფართო არეალს ნარკოკარტელებისა და მეკობრეების მოქმედებებისთვის. მოცემული ტერიტორიების ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის შემთხვევაში, განსაკუთრებით, თუ ისინი განლაგებულია რამდენიმე რეგიონის შეერთების ადგილთან და გააჩნია წვდომა სატრანსპორტო კომუნიკაციებზე, ხშირად „რუხი ზონები“ ასრულებენ მარშრუტის როლს ნარკოტიკებითა და იარაღით უკანონო ვაჭრობისთვის (Report to DHS S&T Office of University Programs and DoD Strategic Multilayer Assessment Branch 2016).

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული მრავალრიცხოვანი „რუხი ზონებიდან“ განსაკუთრებით ყურადსაღებია ის რეგიონები, რომლებიც წარმოადგენენ უდიდეს საფრთხეს საერთაშორისო თანამეგობრობისთვის, სხვადასხვა ტრანსნაციონალური საფრთხის წარმოშობისა და გავრცელების თვალსაზრისით (Schmid 1996).

მთელი სახელმწიფოს „რუხ ზონად“ გაადაქცევის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს სომალი. ცნობილია, რომ სამოქალაქო ომისა (1988 წელი) და ოპოზიციური ძალების მიერ პრეზიდენტ სბარეს სოციალისტური რეჟიმის დამხობის (1991 წელი) შედეგად, შიდა ომების პირობებში დაიშალა მთელ რიგ არაღიარებულ სახელმწიფო წარმონაქმნებად, რომლებიც კონტროლდება ცალკეული კლანების მიერ (პუნტლენდი, ხატუმო, სომალილენდი, სომალის ისლამური ემირატი, აჰლუ-სუნა უალჯამაა) (Lewis 2008, 104). ამავდროულად, 2004 წელს გაეროსა და აფრიკული კავშირის მხარდაჭერით შექმნილი გარდამავალი მთავრობა, როგორც ოფიციალური ორგანო, აკონტროლებს მხოლოდ დედაქალაქ მოგადიშოს 60%-ს. ქვეყანას არ გააჩნია ერთიანი პოლიტიკური სისტემა და ეროვნული ეკონომიკა. შესაბამისად, სომალიში არსებობს ყველა პირობა ტრანსნაციონალური საფრთხეების ფართო სპექტრის გაჩენისა და გავრცელებისთვის (United Nations Office on Drugs and Crime 2009). სომალი წარმოადგენს საყრდენს მეკობრეებისთვის, რომელიც ბოლო დროს განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის უკრაინის მოქალაქეთა სიცოცხლესა და უსაფრთხოებას (მეორე ადგილზეა მეკობრეთა თავდასხმების რაოდენობით ფილიპინების შემდეგ) და სხვა სახელმწიფოებს. ჩამოშლილი ეკონომიკის პირობებში, გატაცებული გემებიდან მიღებული გამოსასყიდი წარმოადგენს შემოსავლის ერთადერთ წყაროს სომალის სანაპირო რეგიონების უმუშევართათვის (Beloff 2013). ცნობილია, რომ მეკობრეთა ბაზები განლაგებულია პუნტლენდის, სომალილენდის რაიონებში, რომლებსაც აქვთ გასასვლელი ადენის ყურეში, რომლის მეშვეობითაც წელიწადში სხვადასხავა სახელმწიფოს დროშით გადის დაახლოებით 17,799-დე გემი. გაეროს მონაცემებით, სომალელი მეკობრეების ტყვეობაში იმყოფება 420-დე სხვადასხვა ქვეყნის მეზღვაური, რომელთაგან 155 - უკრაინის მოქალაქეა, რომლებიც ტყვედ იქნენ აყვანილი 2008-2010 წლებში (Beloff 2013). გარდა ამისა, სომალის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, მეკობრეობა კოლოსალურ ეკონომიკურ ზიანს აყენებს მსოფლიო საზოგადოებას. ცნობილია, რომ გამოსასყიდი თანხები ხშირად რამდენიმე მილიონ დოლარს აღწევს. უკრაინის მაგალითს თუ გავიხსენებთ, 2009 წელს მხოლოდ გემი „ფაინას“ ეკიპაჟის გამოსასყიდად 3.2 მილიონი აშშ დოლარის გადახდა მოუხდა (Article: „Somali pirates free Ukrainian ship after receiving ransom“ 2009). უფრო მეტიც, ბოლო წლებში, სომალელი მეკობრეები გარკვეულ გავლენას ახდენენ ნავთობის მსოფლიო ფასების ზრდაზე, ნავთობის ტანკერების დაყადაღების გაზრდილი შემთხვევებიდან გამომდინარე.

მაგალითად, 2008 წლის 15 ნოემბერს, მეკობრეების მიერ გატაცებულ იქნა სუპერტანკერი „Sirius Star“ (საუდის არაბეთი), რომელიც 2 მილიონი ბარელი ნედლი ნავთობით (100 მილიონი აშშ დოლარი) დატვირთული სპარსეთის ყურიდან შეერთებულ შტატებში მიემართებოდა (Sharon Otterman and Mark McDonald 2008). ნავთობის ფასების გაზის ფასებზე მიბმულობიდან გამომდინარე, მსგავსი გატაცებისა და ხელში ჩაგდების შემთხვევები საფრთხეს უქმნის იმ სახელმწიფოთა ენერგოუსაფრთხოებას, რომელთა ინდუსტრია დამოკიდებულია ენერგორესურსების იმპორტზე. უკრაინის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, გაზზე მსოფლიოს ფასების უმნიშვნელო ზრდაც კი საფრთხეს უქმნის უკრაინის გადახდისუნარიანობაზე, რომლისთვისაც

რუსეთის ფედერაციიდან შეძენილი გაზსი მთლიანი ღირებულება თვეში 1 მილიარდ დოლარს აღწევს (416 აშშ დოლარი 1000 კუბურ მეტრზე). ამრიგად, აქვე აღნიშნულ უნდა იქნას, რომ სომალი, როგორც „რუხი ზონა“ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ საზღვაო ტრანსპორტს, არამედ, მსოფლიო საზოგადოების ენერგოუსაფრთხოებას, რაც უკრაინის მაგალითითაც დასტურდება. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სომალის შიდა არასტაბილურობა წარმოადგენს ნაყოფიერ ნიადაგს ტერორისტული ორგანიზაციების გააქტიურებისა და ისლამური ექსტრემიზმის გავრცელებისთვის აფრიკის რქის რეგიონში (სომალი, ერიტრეა, ეთიოპია, ჯიბუტი).

ცნობილია, რომ ყველაზე გავლენიან ტერორისტულ ორგანიზაციას წარმოადგენს „ალ-შაბაბი“ (ყოფილი ისლამური სასამართლოების კავშირი), რომელიც 2004 წლიდან, ავღანული თალიბანის სცენარის მიხედვით ცდილობს სომალის ისლამური საამიროს ძლაუფლების გაფართოებას სახელმწიფოს მთელ ტერიტორიასა და მეზობელი ქვეყნების ტერიტორიაზე (ოგადენი - ეთიოპიაში; კენიის ჩრდილოეთ რეგიონებში) (Eichstaedt 2010, 182).

გარდა ამისა, ტერორისტული დაჯგუფება „ალ-ქაიდას“ ლიდერის - აიმან ალ-ზავაჰირის განცხადების თანახმად, 2012 წლის 10 თებერვალს „ალ-შაბაბი“ შევიდა „ალ-ქაიდას“ შემადგენლობაში. შესაბამისად, სომალის გარდაქმნა ისლამისტურ თეოკრატიულ სახელმწიფოდ, საფრთხეს უქმნის რეგიონის დესტაბილიზაციას, განსაკუთრებით მეზობელ ერიტრეაში, სადაც ექსტრემისტული განწყობები ძალზე ძლიერია.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს სომალის „რუხი ზონის“ აღმოსაფხვრელად (ოპერაცია „ატლანტა“ ნატოს სახელმწიფოების, ევროკავშირის, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის საზღვაო ძალების მიერ 2008 წლიდან (Information booklet 2017, 7) (გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია No1838) გემების დასაცავად ადენის ყურეში; ეთიოპიის ინტერვენცია, კენიის - აფრიკული კავშირის ეგიდით 2011 წლის ოქტომბრიდან, „ალ-შაბაბთან“ ბრძოლაში გარდამავალი მთავრობის მხარდასაჭერად), უახლოეს მომავალში ვითარების სტაბილიზაციასთან დაკავშირებით საუბარი, საკმაოდ რთულია.

„რუხი ზონის“, როგორც მსოფლიო წესრიგის დესტაბილიზაციის ფაქტორის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ავღანეთი. ცნობილია, რომ დესტრუქციული პროცესების განვითარების სცენარი ბევრ რამეში ჰგავს სომალის. 1989 წელს ქვეყნიდან საბჭოთა კონტიგენტის გაყვანის შემდეგ, 1992 წელს მოჯაჰედებმა გადააგდეს ნაჯიბულას სოციალისტური რეჟიმი ხელისუფლებიდან. აჰმად შაჰ მასუდსა და გულბედინ ჰექმათიერს შორის შიდა დაპირისპირებისა და ანარქიის პირობებში ავღანეთში ძალაუფლება 1996 წლისთვის (გარდა პანჯერის ხეობისა და უზბეკებითა და ტაჯიკებით დასახლებული ჩრდილოეთის ტერიტორიების გარდა) ხელში ჩაიგდო საერთაშორისო საზოგადოების მიერ არაღიარებულმა ისლამურმა მოძრაობა „თალიბანმა“ (პუშტუნები).

შესაბამისად, ავღანეთი გადაიქცა არაერთი ტრანსნაციონალური საფრთხის აღმოცენების ობიექტად. ჯერ ერთი, 2001 წლამდე, ავღანეთი გადაიქცა ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ქაიდას“ შტაბ-ბინად, რომლის ბანაკები და ბაზები გადატანილ იქნა სუდანიდან 1997 წელს აშშ-ს საელჩოს აფეთქების შემდეგ. როგორც მოგეხსენებათ, სწორედ „ალ-ქაიდას“ მიერ ორგანიზებული 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ავღანეთი გახდა ანტიტერორისტული ოპერაციებით ჩარევის მთავარი ობიექტი.

მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატების 11 წლიანი სამხედრო ოპერაციის შედეგად (ISAF), „ალ-ქაიდა“ და მოძრაობა „თალიბანი“ დასუსტდნენ, ლოკალიზებულ და შევიწროებულ იქნენ ავღანეთის სამხრეთით, ვაზირისტანში (პაკისტანი), მისი ფილიალები იემენში, მაღრიბის ქვეყნებში, დასავლეთ საჰარა (სალაფისტური დაჯგუფებები) აკონტროლებენ ნარკოტიკებითა და იარაღით უკანონო ვაჭრობის მარშრუტებს (Wolfram 2012, 8-11).

მეორე - ავღანეთი, ამ ეტაპზე საფრთხეს უქმნის საერთაშორისო საზოგადოებას, რომელიც დაკავშირებულია ნარკოტიკების წარმოებასა და გავრცელებასთან. გაეროს ნარკომანიისა და დანაშულის სამმართველოს ანგარიშის თანახმად - „ავღანური ოპიუმის ტრანსნაციონალური საფრთხე“ (UN Office on Drugs and Crime, International report 2009), ავღანეთი წარმოადგენს მსოფლიო ლიდერს ოპიუმის წარმოებაში, რაც მოსახლეობის ძირითადი შემოსავალია. გარდა ამისა, ავღანეთის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა განაპირობებს ნარკოტიკების ექსპორტის მარშრუტების არსებობას.

გაეროს ანგარიშის თანახმად, არსებობს „ბალკანეთის მარშრუტი“ (ირანი-თურქეთი-კოსოვო-ბოსნია და ჰერცოგოვინა), „შავი ზღვის მარშრუტი“ (ირანი-თურქეთი-აზერბაიჯანი-საქართველო) ევროკავშირსა და ამიერკავკასიაში ექსპორტისთვის. ჰეროინის ნაწილი ამ მარშრუტებით, ხოლო ნაწილი ბულგარეთის, რუმინეთის, მოლდოვასა და დნესტრისპირეთის გავლით შედის უკრაინაში. საკმაოდ კარგად არის შემუშავებული მარშრუტი ტაჯიკეთიდან და ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნებიდან ნარკოტიკების ექსპორტისთვის

პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში, ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში (UN Office on Drugs and Crime, International report 2009). აქედან გამომდინარე, რუსეთის ფედერაციაში საშუალოდ მოიხმარება 70 ტონა, ჩინეთში - 45 ტ, ირანში 17ტ და ევროკავშირში - 8 ტონა ავღანური ჰეროინი ყოველწლიურად. მოცემულ შემთხვევაში, ავღანური ჰეროინის საფრთხე აქტუალურია უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისთვის, რომელიც ემსახურება ავღანური ჰეროინის ტრანზიტს ევროკავშირში, რომელიც ხვდება ევროკავშირში რუსეთის ფედერაციიდან (UN Office on Drugs and Crime, report - The global heroin market 2011, 8-11).

გრადა ამისა, ჰეროინის მნიშვნელოვანი ნაწილი დეპონირებულია თვითონ უკრაინაში, ქვეყნის ტერიტორიაზე არის ოპიუმის გადამამუშავებელი არალეგალური ლაბორატორიები. მაგალითად შესაძლოა მოყვანილ იქნას 2007 წლის შემთხვევა, როდესაც უკრაინის უსაფრთხოების სამსაურის მიერ აღმოჩენილ იქნა ნედლი ოპიუმის ჰეროინად გადამამუშავებელი ლაბორატორია და ასევე ამოღებულ იქნა 125 კგ მზა ჰეროინი (UN Office on Drugs and Crime, report - The global heroin market 2011, 8-11).

ჰეროინის წარმოებასთან ბრძოლის პერსპექტივებზე საუბარი საკმაოდ რთულია, რამდენადაც ავღანეთის ტერიტორია შეუსაბამოა ალტერნატიული კულტურების გაშენებისთვის. ამასთან, ნარკოტიკებით ვაჭრობა ემსახურება უხუცესების, აშშ-ს ერთგული მთავრობის ჩინოვნიკებისა და ავღანეთის პრეზიდენტის ძმის ბიუჯეტის შევსების წყაროს (ყაზახეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის ანგარიშის თანახმად).

როგორც ცნობილია, ავღანური ჰეროინის ფასი 100 დოლარიდან 150 დოლარამდე მერყეობს. ამდენად, ავღანეშთი ჰეროინის წარმოების ზრდაზე თვალის დახუჭვით შეერთებული შტატები იღებს საზოგადოების ანტი-თალიბანური ნაწილის მხარდაჭერას, ახორციელებს რუსეთის ფედერაციის ალტერნატიულ სატრანსპორტო და ენერგეტიკულ პროექტებს ცენტრალური აზიისა და კავკასიის რეგიონებში (ტრანსბალკანური მილსადენი, „TAPI“, სამხრეთ ენერგეტიკული დერეფანი, ჩრდილოეთ ქსელი -აბრეშმის გზა).

ანალოგიური ტრანსნაციონალური საფრთხეები არსებობს სხვა რეგიონის „რუხ ზონებშიც“. მაგალითად, ე.წ. „ოქროს სამკუთხედი“, რომელიც მოიცავს მიანმარის, ლაოსისა და ტაილანდის შესართავთან მდებარე ტერიტორიებს, რომლებიც ისრორიულად ნარკოტიკების მწარმოებელ ცენტრად ითვლება - სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონში (Report of United Nations Office of Drugs and crime 2020, „Synthetic Drugs in East and Southeast Asia, 17). მათ ტერიტორიაზე ნარკოტიკების გაშენება და გადამუშავება ფაქტობრივად ქმნის რეგიონალური ეკონომიკის ცალკეულ დარგს, რომელშიც ჩართულია ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შანის სეპარატისტული სახელმწიფოს გავლენის ქვეშ, რომელიც იყენებს ნარკოტიკებიდან მიღებულ შემოსავალს მიანმარიდან გამოსაყოფად.

გარდა ამისა, ტაილანდის ტერიტორია წარმოადგენს ხიდს ASEAN-ის (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები) აზია-წყნარი ოკეანის, აგრეთვე აფრიკისა და ევროკავშირის ქვეყნებში ნარკოტიკების ტრანსპორტირებისთვის, ინდოეთის ოკეანის, სომალის, ეთიოპიის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკისა და დასავლეთ საჰარის არაკონტროლირებადი რეგიონის გვერდის ავლით. აქ შეინიშნება ორი „რუხი ზონის“ - სომალისა და „ოქროს სამკუთხედის“ ურთიერთკავშირი, რომლებიც ქმნიან მარშრუტს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან ევროპაში ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ტაილანდი იბრძვის ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ, 2003, 2008 წლებში განხორციელებულმა ოპერაციებმა არსებითი გავლენა ვერ მოახდინა ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის შემცირებაზე რეგიონში.

ცნობილი „რუხი ზონებია“ კოლუმბიის მეამბოხე ძალების (FARC) მიერ კონტროლირებად ლათინურ ამერიკაში, “Sendero Luminosu” (“Shining Path”) პერუში, ბოლივიის ზოგიერთ ნაწილში. მოცემულ შემთხვევაში მათი აღმოცენების მიზეზია პერმანენტული სამოქალაქო ომი, რომელიც 60 წელია გრძელდება მთავრობასა და სოციალისტურ ოპოზიციას შორის.

„რუხი ზონებიდან“ მომდინარე მთავარ ტრანსნაციონალურ საფრთხეებს წარმოადგენს ნარკოტიკებით ვაჭრობა (კოლუმბიაში ხდება 430, პერუში 302, ბოლივიაში 113 ტონა კოკაინის წარმოება წელიწადში), იარაღით უკანონო ვაჭრობა, ტერორისტული ორგანიზაციების ფილიალების საქმიანობა (იაპონიის წითელი არმია, ჰამასო, ჰეზბოლა - ყიდულობენ იარაღს).

ცნობილია, რომ მოცემული „რუხი ზონების“ ტერიტორიებიდან ე.წ. „კოკაინის მარშრუტით“ ცენტრალური ამერიკის ქვეყნების, ვენესუელას პორტების, მექსიკის გავლით ხდება 40%-მდე ნარკოტიკების ტრანსპორტირება, რომელიც შეერთებულ შტატებშია წარმოებული. გარდა ამისა, ყოველწლიურად 50 ტონამდე კოკაინი შედის ევროკავშირში ატლანტის ოკეანისა და დასავლეთ აფრიკის გავლით (Eventon, Bewley 2016). შესაბამისად, წლიური შემოსავალი შეადგენს 40 მილიარდ დოლარს.

გარდა ამისა, ხშირად ადგილი აქვს თანამშრომლობას ნარკოკარტელებსა (მედელინის კარტელი) და ტერორისტულ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც ახორციელებენ ნარკოტიკების იარაღებზე გაცვლასა

და შემდეგ გაყიდვას (Calvani 2004, 6-14), რაც წარმოადგენს „რუხი ზონების“ ამბოხებულ დაჯგუფებათა შემოსავლის ძირითად წყაროს.

მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატების მიერ ხორციელდება მექსიკისა და კოლუმბიის არმიის სამხედრო სპეციალისტების დაფინანსება და შეიარაღებით უზრუნველყოფა, „მერიდას“ ინიციატივის ფარგლებში ტრანსნაციონალურ საფრთხეებთან საბრძოლველად, შედეგები - არაერთმნიშვნელოვანია (United States Department of State. a.n.d. The Merida Initiative. 2019). ერთის მხრივ, შესაძლებელი გახდა კოლუმბიის ტერიტორიის 10%-მდე განთავისუფლება „FARC“-ის დაჯგუფებებისგან; მეორეს მხრივ, შეერთებული შტატები კოლუმბიაში ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლას განიხილავს, როგორც საბაბს ავღანური სცენარის მიხედვით რეგიონში სამხედრო წარმომადგენლობითობისთვის. ცნობილა, რომ კოლუმბიის მთავრობამ წელიწადში 5 მილიარდ დილარად გაქირავების საფუძველზე 7 სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ბაზა გადასცა შეერთებულ შტატებს, რომლისთვისაც კოლუმბიაზე კონტროლი ძალზე მნიშვნელოვანია რეგიონში ვენესუელას შეკავებისთვის. თუმცა, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ ვენესუალას პრეზიდენტს უგო ჩავესს სურს „რუხი ზონის“ გამოყენება კოლუმბიაში რეგიონში ვენესუელას გეოპოლიტიკური ექსპანსიისთვის, კოლუმბიის დიდი ხნის მოწინააღმდეგე ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში ბოლივარიანული სტილის სოციალისტური რეჟიმის დამყარების მიზნით. ამას მოწმობს 2000-იანი წლების შუა ხანებაში ვენესუელაში რუსეთის ფედერაციასთან „AK-103“ ტიპის ავტომატის მწარმოებელი ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით გაფორმებული კონტრაქტის შემდეგ რეგიონში რუსული ცეცხლსასროლი იარაღით არალეგალური ვაჭრობის ზრდა (Bjo¨rnehed 2004, 305-324).

„რუხ ზონებთან“ დაკავშირებული ზემოგანხილული მაგალითებიდან გამომდინარე, შესაძლოა გამოყოფილ იქნას რამდენიმე საერთო ფაქტორი, რომელიც განაპირობებს მათ ჩამოყალიბებასა და არსებობას.

პირველი, „რუხი ზონების“ გაჩენას იწვევს განსაზღვრული პოლიტიკური რეჟიმების, სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ცვლა და ალტერნატიული რეჟიმების შექმნის შეუძლებლობა. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს სომალისა და ავღანეთის მაგალითები, სადაც სოციალისტური ორიენტაციის რეჟიმების დამხობას არ გამოუწვევია ალტერნატიული მმართველობის ფორმის დამყარება და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების სისტემის ჩამოყალიბება. როგორც დავინახეთ, შედეგი იყო კლანთაშორისი სამოქალაქო ომების წარმოშობა და ანარქია ქვეყნებში.

მეორე, საზოგადოების იდეოლოგიური გახლეჩვით (კოლუმბია) ან ცალკეული ტერიტორიების სეპარატიზმით ((შანის სახელმწიფო ოქროს სამკუთხედის ტერიტორიაზე) გამოწვეული პერმანენტული სამოქალაქო ომი, შესაძლოა აღმოჩნდეს ხელშემწყობი ფაქტორი „რუხი ზონების“ წარმოსაქმნელად.

მესამე, შესამჩნევია გეოპოლიტიკური ფაქტორის როლი, რომელიც დაკავშირებულია უშუალოდ სატრანზიტო მარშრუტების კვეთაზე „რუხი ზონების“ არსებობასთან.

მეოთხე, მოსახლეობისთვის საარსებოდ (სომალი, ავღანეთი) შემოსავლის ან პოლიტიკური მიზნების მისაღწევად (კოლუმბიის მმართველი რეჟიმის ოპოზიცია FARC-ის სახით, შანის სეპარატისტული სახელმწიფო) ალტერნატიული წყაროს არ არსებობა განაპირობებს ნარკოტიკებით, იარაღით უკანონო ვაჭრობასა და მეკობრეობას „რუხ ზონებში“.

„რუხი ზონების“ არსებობის მეხუთე ფაქტორს წარმოადგენს სხვა მოთამაშეთა ინტერესები, რომელიც მიმართულია მათი გამოყენებისკენ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე რეგიონებში საკუთარი გეოპოლიტიკური გავლენის გასამტკიცებლად (აშშ ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ ამერიკაში, „ალ-ქაიდა“ აფრიკის რქის რეგიონში, ვენესუელასა და ცენტრალურ ამერიკაში).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვხედავთ, რომ „რუხი ზონები“ წარმოადგენს სერიოზულ დესტაბილიზაციის ფაქტორს თანამედროვე მსოფლიო წესრიგში, სხვადასხვა სახელმწიფოებში ეროვნულ უსაფრთხოებაზე ტრანსნაციონალური საფრთხეების წარმოქმნისა და გავრცელების გამო. ამიტომ, „რუხი ზონების“ ჩამოყალიბებისა და არსებობის გამოვლენილი ზოგადი ფაქტორები გათვალისწინებულ უნდა იქნას საერთაშორისო საზოგადოების მრავალმხრივი ქმედებების შედეგად მათი ნიველირებისას.

გამოყენებული ლიტერატურა

- Article (05.02.2009): Somali pirates free Ukrainian ship after receiving ransom https://bit.ly/3jd2g6v (გადამოწმებულ იქნა 10.10.21);
- Article: Sharon Otterman and Mark McDonald (18.11.2008) - Hijacked Supertanker Anchors Off Somalia https://nyti.ms/3vnZIY6 (გადამოწმებულ იქნა 10.10.21);
- Beloff R. (2013) - How Piracy is Affecting Economic Development in Puntland, Somalia Jonathan; Journal of Strategic Security 6, no. 1, https://bit.ly/3DM9NAU (გადამოწმებულ იქნა 10.10.21);
- Bjo¨rnehed Emma - Narco-Terrorism: The Merger of the War on Drugs and the War on Terror ; Global Crime - Vol. 6, No. 3&4, August–November 2004, pp. 305–324;
- Calvani Sandro (March 2004), "United Nations Perspective" paper presented at The Crime-Terrorism Nexus: How does it really work?, Virginia, pp. 6–14;
- Cockayne James and Williams Phil (October 2009), "The Invisible Tide: Towards an International Strategy to Deal With Drug Trafficking Through West Africa," International Peace Institute, 2009, https://bit.ly/3n6yvVX pdf, (გადამოწმებულ იქნა 10.10.21);
- Costa Antonio Maria (October 2008), "Drug Trafficking Is a Security Threat" (remarks at the opening of the Economic Community of West African States high-level conference on drug trafficking as a security threat, Praia, Cape Verde,), https://bit.ly/3jfy6j8 (გადამოწმებულ იქნა 10.10.21);
- Eichstaedt Peter, Pirate State: Inside Somalia's Terrorism at Sea (Chicago: Lawrence Hill Books, 2010), 182;
- Eventon Ross and Dave Bewley (2016) - Taylor - An overview of recent changes in cocaine trafficking routes into Europe (Background paper commissioned by the EMCDDA for the 2016 EU Drug Markets Report); https://bit.ly/3awDhXd (გადამოწმებულ იქნა 10.10.21);
- Eichstaedt, Pirate State: Inside Somalia's Terrorism at Sea, 34; Percey and Shortland, "The Business of Piracy in Somalia," 4;
- Eichstaedt, Pirate State: Inside Somalia's Terrorism at Sea, 29-30; Sarah Percey and Shortland, Anja, "The Business of Piracy in Somalia," German Institute for Economic Research (July 2010): 2, available at: http://www.brunel.ac.uk/9379/efwps/0942.pdf, (გადამოწმებულ იქნა 10.10.21);
- Freedom Onuoha, "Sea Piracy and Maritime Security in the Horn of Africa: The Somali Coast and Gulf of Aden in Perspective," African Security Review (July 2010): 37-8, available at: https://bit.ly/3n3v96m, (გადამოწმებულ იქნა 10.10.21);
- Information booklet (2017), European Union Naval Force Somalia Operation Atalanta p.7 ; https://bit.ly/3vlglnc. Pdf; (გადამოწმებულ იქნა 10.10.21);
- Jablonski Ryan and Oliver Steven (October 2010), "The Political Economy of Plunder: Economic Opportunity and Modern Piracy," 2010 American Political Science Conference, https://bit.ly/3n3sbia .pdf, (გადამოწმებულ იქნა 10.10.21);
- Lewis, Ioan, Understanding Somalia and Somaliland (New York: Columbia University Press, 2008), 104-5;
- Report of United Nations Office of Drugs and crime (05.2020) Synthetic Drugs in East and Southeast Asia (Latest developments and challenges), (p.17);
- Report to DHS S&T Office of University Programs and Department of Defense Strategic Multi-Layer Assessment, "Gray Zone Effort Update," September 2016;
- Rydell, C.P. Everingham, S.S. (1994) Controlling Cocaine; Supply Versus Demand Programs, RAND Corporation, https://bit.ly/3n6CnGt.pdf, (გადამოწმებულ იქნა 10.10.21);
- Schmid, Alex P. (1996) "The links between transnational organized crime and terrorist crimes", Transnational Organized Crime, vol. 2, No. 4;
- UNODC (United Nations Office on Drugs and Crime), Transnational Trafficking and the Rule of Law in West Africa: A Threat Assessment, July 2009, https://bit.ly/30t3uE4 (გადამოწმებულ იქნა 10.10.21);
- UN Office on Drugs and Crime; International report (21. 10. 2009) Taliban (Afghanistan) – Narcotic Drugs-Drag traffic – Organized Crime – Opium Poppy – Terrorism Financing – Heroin; Vienna;
- United Nations Office of Drugs and crime - Report -The global heroin market (July 2011) (p 8-11) https://bit.ly/2YWvYp2, (გადამოწმებულ იქნა 10.10.21);
- United States Department of State. a.n.d. The Merida Initiative. 2019. https://bit.ly/3n6EtGl (გადამოწმებულ იქნა 10.10.21);
- Wolfram Lacher (09.2012) - organized crime and conflict in the sahel-sahara region, Middle East; Carnegie Endowment for International Peace; Washington (p. 8-11), https://carnegieendowment.org/files/sahel_sahara.pdf (გადამოწმებულ იქნა 10.10.21).